პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VII ქუჩისთვის ისტორიკოსის გიორგი ბოჭორიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VII ქუჩას მიენიჭოს ისტორიკოსის გიორგი ბოჭორიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:487966 Y:4615620
გიორგი ბოჭორიძის ქ.
X:487608 Y:4615606
N
1:1,500

[illegible]
[illegible], [illegible] ქ. [illegible] 14 ბ.ბ.
[illegible]. 5. 77. 40. 40. 12
პირადი N. 01 01 7007025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ქალაქ თბილისის სამეცნიერო და სამუზეუმო საზოგადოების

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ)

ბატონო გიორგი!

მოგახსენებთ, რომ 1937 წელს რეპრესირებულ, ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, გიორგი ბოჭორიძეს დიდ წვლილი მიუძღვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და შესწავლის საქმეში.

გიორგი ბოჭორიძემ 1922 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი (პირველი გამოშვება) და მთელი თავისი ცხოვრება, საქართველოს ისტორიის ძეგლების აღწერა-გადარჩენასა და გამოკვლევას მიუძღვნა. „ხელოვნების სიძველეთა და ბუნების ძეგლთა დაცვის კომიტეტმა“, რომლის მიზანიც რაც შეიძლება მეტი ისტორიული ნივთისა თუ ძეგლის გადარჩენა გახლდათ, რწმუნების სიგელით აღჭურვა გ. ბოჭორიძე. 1923-დან 1934 წლამდე გიორგი ბოჭორიძემ მოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, საინგილო, გუდამაყრის ხეობა, თუშეთი და აღწერა უამრავი ისტორიული ძეგლი. იმ პერიოდში მიუვალ ადგილებში მოძიებული ნიმუშები, ისტორიული ნივთები და ჩანაწერები ხან ზურგით, ხან ცხენით, ხან ურმით ჩამოჰქონდა და სათანადო აქტებით აბარებდა კომიტეტს, საქართველოს ცენტრალურ მუზეუმებს. მან ისტორიული ნივთებისა და საარქივო მასალის მდიდარ კოლექციას მოუყარა თავი. თბილისისა და ქუთაისის საცავებს გადასცა მრავალი ხელნაწერი. მის მიერ აღრიცხულია 900-მდე ისტორიული ძეგლი, მოგროვილია 200-ზე მეტი ისტორიული ნივთი, 540 ხელნაწერი და 200-ზე მეტი დასტამბული წიგნი, 28 წარწერიან-ქანდაკებიანი ქვის სტელები, 3 550 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი. შეისწავლა თბილისის ლომბარდში დაგირავებული ძველი ხელნაწერები და სხვა ისტორიული ღირებულების მასალები. მან შეამოწმა და აღწერა თბილისის 30-ზე მეტ ეკლესიაში დაცული არქივი, წიგნსაცავი. ბოლშევიკებს ხელიდან გამოსტაცა: სოფელ ჯვარისაში

ვახტანგ გორგასლის დედის საგდუხტის მიერ შეწირული ჯვარი; 1013 წელს გადაწერილი ოთხთავი სოფელ ბარში; თაბორის XI ს. ოთხთავი. მისი ხელით გადმოღებული ბევრი წარწერა დღეს აღარ არსებობს.

დიდია გიორგი ბოჭორიძის ღვაწლი საქართველოს წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, ფოლკლორისტიკის, ენათმეცნიერებისა და ისტორიის განვითარებაში. მან სიცოცხლეში რამდენიმე ნაშრომის გამოცემა მოასწრო; მისი ხუთი ფუნდამენტური ნაშრომი კი თავისუფალ საქართველოში გამოიცა. გ. ბოჭორიძე შეყვანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

გიორგი ნოჭორიძე 1937 წელს დააპატიმრეს, ხოლო 1939 წელს გადასახლეს, მაგრამ გადასახლების ადგილამდე ვერ მიაღწია - ბოროტმოქმედებმა გაძარცვის მიზნით მატარებლის ვაგონში (სავარაუდოდ 27 სექტემბერს) სიცოცხლეს გამოასალმეს.

მოგმართავთ თხოვნით, რათა ტრაგიკულად დაღუპული მეცნიერის გიორგი ბოჭორიძის ღვაწლის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

პატივისცემით

თბილისის სამეცნიერო და სამუზეუმო საზოგადოება.

(საკონტაქტო პირი ლია მელიქიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. პირ. ტელ. 577 40 40 12. პირ. # 01017007025. მისამართი - თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი N52. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია).

22.01.25

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები:

ალიო მელიქიშვილი – სმეა აკადემიკოსი – ალ. მელიქიშვილი

ალაზ ხუციძე – სმეა ვice-აკადემიკოსი – ალ. ხუციძე

ვლადიმერ კაკაბაძე – სმეა აკადემიკოსი – მეცნიერი – ვ. კ.

ელიზბარ ჯავახიძე

ივანიერ კოპალეიანი – სმეა აკადემიკოსი

ალაზ ხეცურიანი – სმეა აკადემიკოსი – ალ. ხეცურიანი

ომარ ყოლბაია – სმეა აკადემიკოსი – ო. ყ.

[illegible] – სმეა აკადემიკოსი

ქეთი ხევსურიანი - სმუ ასისტ. პროფესორი -

[illegible] [illegible] - სმუ ასისტ. პროფესორი -

თინათინ [illegible] - სმუ ასისტ. პროფესორი -

[illegible] [illegible] სმუ ასისტ. პროფესორი -

[illegible] [illegible] სმუ ასისტ. პროფესორი

[illegible] [illegible] სმუ ასისტ. პროფესორი

[illegible] [illegible] სმუ ასისტ. პროფესორი

[illegible] [illegible] სმუ ასისტ. პროფესორი

[illegible] [illegible] ს.მ.უ. ასისტ. პროფესორი -

[illegible] — [illegible]

[illegible] — [illegible]

[illegible] — [illegible]

[illegible]

[illegible]

[

[illegible]

[illegible]

[illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032505015**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ლიანა მელიქიშვილის 2025 წლის 23 იანვრის საქმე #19/032502275-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გიორგი ბოჭორიძის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ნავთლუღის I დასახლების VII ქუჩის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250503594**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 19.02.2025 წლის #03-032505015 (19.02.2025 წ. #14-01250501831-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი ბოჭორიძე

(1884-1939)

ქართველი ისტორიკოსი.რეპრესირებული.

სწავლობდა თბილისის სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს 1905 წელის რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის. 1922 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების(პირველი გამოშვრბა) ფაკულტეტი. 1921 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მუშაობა დაიწყო საქართველოს ცენტრალურ არქივში, შემდეგ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1923-1926 წლებში ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ისტორიული ნივთებისა და საარქივო მასალის მდიდარ კოლექციას მოუყარა თავი და თბილისის და ქუთაისის საცავებს გადასცა მრავალი ხელნაწერი. გიორგი ბოჭორიძის მიერ აღწერილია 900 მდე ისტორიული ძეგლი, მოგროვილია 200 ზე მეტი ისტორიული ნივთი, 540 ხელნაწერი და 200 ზე მეტი დასტამბული წიგნი, 28 წარწერიან-ქანდაკებიანი ქვის სტელები, 3550 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთი.

შეისწავლა თბილისის ლომბარდში დაგირავებული ძველი ხელნაწერები და სხვა ისტორიული ღირებულების მასალები. მან შეამოწმა და აღწერა თბილისის 30 ზე მეტ ეკლესიაში დაცული არქივი, წიგნსაცავი. ბოლშევიკებს ხელიდან გამოსტაცა ს. ჯვარისაში ვახტანგ გორგასლის დედის საგდუხტის მიერ შეწირული ჯვარი, 1013 წელს გადაწერილი ოთხთავი სოფელ ბარში.

დიდია გიორგი ბოჭორიძის ღვაწლი საქართველოს წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, ფოლკლორისტიკის ენათმეცნიერებისა და ისტორიის განვითარებაში.

1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და 1039 წელს გადაასახლა, მაგრამ გადასახლების ადგილამდე ვერ მიაღწია-ბოროტმოქმედებმა გაძარცვის მიზნით მატარებლის ვაგონში(სავარაუდოდ 27 სექტემბერს) სიცოცხლეს გამოასალმეს. მოკლეს გადასახლებაში მძარცველებმა.

გიორგი ბოჭორიძეს გამოქვეყნებული აქვს არქეოგრაფიული ნაშრომები: „ორი ფიქალწერილი" („საისტორიო მოამბე", 1925, წგნ. 1), „ფურცელაანთეული ქრონიკა" (იქვე), „რაჭის ისტორიული ძეგლები" („საქართველოს მუზეუმის მოამბე", 1930, ტ. 5; 1933-1935, ტ. 7-8) და სხვა; გამოუქვეყნებელი დარჩა ეთნოგრაფიული ნაშრომი „თუშეთი".